

ინდოეთის არმია ამტკიცებს, რომ თოვლის კაცის ნაკვადევს მიაგნო



ინდოეთის არმია ამტკიცებს, რომ თოვლის კაცის – იეტის ნაკვადევს მიაგნო. ამის შესახებ ინფორმაცია და შესაბამისი ფოტო ინდოეთის არმიამ „ტვიტერის“ გვერდზე გაავრცელა.

ინდოელი სამხედროები ამტკიცებენ, რომ „იეტის ნაკვადევს ჰიმალაის მთებში მდებარე მიკადუს სამხედრო ბანაკში მიაკვლია“.

თოვლის კაცი იეტი მითიური არსებაა, რომელიც ძირითადად სამხრეთ აზიურ ფოლკლორშია მოხსენიებული. იეტის შესახებ ინდოეთში, ნეპალსა და ბუტანში ხშირად ყვებიან.

ინდოეთის არმიაში ამბობენ, რომ მათ მიერ აღმოჩენილი მტკიცებულება ექსპერტებს გადაეგზავნა.